ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12.37222141**
თარიღი:**02/08/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“.

კომისიამ აღნიშნა,რომ პროექტი მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას სხვადასხვა სოციალურ პროექტებში და ამასთან ამ პროფილის საწარმოების განვითარების ხელშეწყობას;

პროექტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთი პროგრამის(კოდი 06.02. 13) განხორციელების მარეგულირებელ აქტს;

პროექტში წარმოდგენილი ძირითადი პრინციპები და პროცედურები უზრუნველყოფს: საბიუჯეტო ხარჯების გამჭვირვალობას, მიუკერძოებლობასა და საჯაროობას;

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტი წარმოდგინოს საკრებულოს შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი